საპროექტო ობიექტის აღწერა და რეკომენდაცია

ბაქოს ქ. №10



საპროექტო ნაგებობა ბაქოს ქიჩიდან, 2026წ.


კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათი № 010102176

1. სახელწოდება - საცხოვრებელი სახლი
2. ადგილმდებარეობა / მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ბაქოს ქუჩა 10
3. სახეობა - არქიტექტურის
4. თარიღი - მე-19 საუკუნის დასასრული

შემსრულებელი
ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი



არქიტექტურული ძეგლის მონაცემები (სააგენტო)

შ პ ს
„ძველი უბანი“
თბილისი
აპრილი
2026

1. ადგილმდებარეობა

წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით განსაზღვრულია თბილისის ისტორიულ ნაწილში მდებარე ორსართულიანი სახლის ეზოს ფლიგელის II სართულიდან სხვენში, მანსარდის მოცულობაში ასასვლელად ლუკის და კიბის მოწყობა. **ჩუღურეთის რ-ნი, ბაქოს ქუჩა №20.**



თბილისის არქიტექტურული ძეგლების რუკა (ფრაგმენტი)

პირობითი აღნიშვნები

- ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი (სარეკომენდაციო)
- ძეგლი
- ფონური
- რიგითი
- შეუსაბამო

საპროექტო ობიექტი არქიტექტურული ძეგლია ბაქოს ქ. №20

ირგვლივ არქიტექტურულ ძეგლად აღრიცხულია:
საცხოვრებელი სახლები – ბაქოს ქ. №№6,7,8,9,12,14 . . . ;

დანარჩენი ძეგლები არ აღიქმებიან საპროექტო ობიექტთან ხედვით კავშირში.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის № 3/181 ბრძანების დანართი №1

რუკა შედგენილია თბილისის საყრდენი გეგმის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით, „გეოფრაფიკის“ მიერ, 2007 წ.

2. განაშენიანების განვითარება

უბნის განაშენიანება დაიწყო ძირითადად XIX ს. მეორე ნახევარში, როდესაც **თბილისის „კოლონიის“** ტერიტორია იმდენად გაიზარდა, რომ მან მიაღწია სადგურის (თამარ მეფის) ქუჩამდე. ამას ხელი შეუწყო რკინიგზის დაპროექტებამ. მიხეილის პროსპექტის ზემოთ ამ პერიოდში უკვე დაიკვალა და ჩამოყალიბდა **ბაქოს,** წინამძღვრიშვილის (ელისაბედის, კლარა ცეტკინის), ე. ნინოშვილის (ალექსანდრეს), კ. ფოცხვერაშვილის (ბატარეის, გ. ხეჩუაშვილის) ქუჩები, რომელთა კონფიგურაციამ და გეგმარების რეგულარულმა ხასიათმა ჩვენამდე თბილისის სხვა უბნებთან შედარებით რამდენადმე უცვლელი სახით მოაღწია. **საპროექტო სახლი აგებულია XIX ს-ის დასასრულს. სახლი აშენდა კერძო მიწაზე, ყოფილი ბაღების ადგილზე, რომელიც იყო თბილისელი მოქალაქე ი. პლინინგერის მფლობელობაში.**

განაშენიანება პრაქტიკულად დასრულდა XXს-ის დასაწყისში. აქ არსებობდა ორ-სამ სართულიანი განაშენიანება. XXს-ის 30-იანი წლებიდან შენდება 4-5 სართულიანი მოზრდილი ნაგებობები.



თბილისის □„კოლონია“, დასავლეთი ნაწილი, XX ს-ის 10-იანი წწ.
საქართველოს ცენტრალური კინო-ფოტო-ფონო არქივის ფონდი ©

საპროექტო ობიექტი მოქცეულია ბაქოს ქუჩის შუა ნაწილში, მის ლუწრიცხვიან პერიმეტრზე. იგი დგას მის მსგავსად განლაგებულ სახლების მწკრივში. ეს სახლები, მსგავსად „ჩვენი“ ნაგებობისა გრძივი ფასადებით მიუყვება ბაქოს ქუჩის პერიმეტრს და შიდა კვარტალისკენ წაგრძელებული L-ის ან U-ს ფორმის გეგმარებით შემოიზღუდავენ თბილისური ტიპის ეზოებს. თავად ნაგებობა XIX ს-ის ბოლოს აგებული ორსართულიანი საცხოვრებელი სახლია, ეკლექტური, ფსევდორენესანსულ არქიტექტურულ ჩანართებიანი ფასადით (1880-90-იან წლები). მის ირგვლივ იგივე მასშტაბის და ფორმის ნაგებობებია. შენობათა ფასადები მორთულია, შელესილი თუ შეულესავი, რომელთა მხატვრულ სახეს სხვადასხვა ტიპის რუსტირება, კარ-სარკმელთა მოჩარჩოება და სართულშუა პროფილირებული ლავგარდანები განსაზღვრავს.

3. საპროექტო ნაგებობა



საპროექტო სახლი, ფასადი ბაქოს ქუჩიდან, 2026წ.

საპროექტო შენობა არქიტექტურული ძეგლია, ისევე როგორც მის გვერდით ორმხრივ გაყოლებაზე მდებარე სახლები. ეს არის L-ის ფორმის ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც შიდა კვარტალისკენ შემოიზღუდავს თბილისური ტიპის ეზოს. ფასადი დანაწევრებულია ნალესობით მოჩარჩოებულ კარ-სარკმელთა დიდი სწორკუთხა ღიობებით, რომლებიც გაფორმებულია საჭექ ქვებიანი თავსართებით. სართულები გამოყოფილია პროფილირებული ლავგარდანებით ორთავე სართული საცხოვრებელი ფუნქციისაა. განსხვავებულია მისი საფასადო სახის მხატვრულ-არქიტექტურული სტრუქტურა. პირველი სართული შელესილია და მსუბუქად არის რუსტირებული. მეორე სართულის საფასადო სიბრტყე კი განსხვავებულია – აქაც გალესილი სიბრტყეა, ოღონდ სარკმლების მოჩარჩოება და მათი ზედანები უფრო მეტად არის მორთული სანდრიკებით და შუა ნაწილი ფლანკირებულია აკანთურ კაპიტელებიანი პილასტრებით. მეორე სართულის ფასადი შეკრულია ნალესი პროფილირებული ლავგარდანით. ზევით კი, პარაპეტია და მარჯვენა ფლანგზე ოვალური ფრონტონით არის მორთული.



საპროექტო სახლი, ხედი ეზოდან, საპროექტო ბინისკენ, 2026წ.

საპროექტო ადგილი ბინის ინტერიერშია სადაც უნდა მოეწყოს კიბე სხვენში ასასვლელად და მას განვიხილავთ დაწვრილებით.



ხედი საპროექტო ბინისკენ, აივნის შპან, 2026წ.

საპროექტო ბინა ნაგებობის ეზოშია, მისი ფლიგელის II სართულზე, ხის სვეტებიან ღია აივნის უკან. აივნისკენ გამოდის ოთხი ღიობი. მარჯვნიდან სარკმელი და ორფრთიანი კარია საიდანაც შევდივართ I ოთახში. მის მარცხნივ II ოთახია აივნისკენ გამომავალი ორი სარკმლით. კიბის მოწყობა ამ ოთახშია განსაზღვრული და კიბის ბოლოს ზემოთ ჭერში უნდა გაიჭრას ლუკი სხვენში ასასვლელად. ჭერთან კედლებზე შემორჩენილია ნალესი ლავგარდანები.



ოთახის ხედი აივნის შანჯრიდან, 2026წ.



ოთახის ხედი აივნიდან



ღია აივანი ბინის წინ, 2026წ.

3. დასკვნა და რეკომენდაციები

,ამგვარად, ჩვენთვის საინტერესო ნაგებობა XIX საუკუნის დასასრულის თბილისური საცხოვრებელი სახლის საინტერესო ნიმუშია. ამ ნაგებობას, მცირე გადაკეთებების და დაზიანებების მიუხედავად, შენარჩუნებული აქვს თავდაპირველი სახე და მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულება. ამოტომ, აქ ჩატარებული ნებისმიერი ცვლილებისა და განახლების დროს სიფრთხილეა საჭირო, რათა ამ არქიტექტურულ ძეგლს შეუნარჩუნდეს გეგმარებითი და თავდაპირველი სტრუქტურა.



საპროექტო სახლი, ხედი მთაწმინდიდან, 2019წ.

აქ, განახლებისა და გეგმარებითი ცვლილებების შემთხვევაში გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები:

- შესაძლებელი ჩანს ლუკის ტიპის ღიობის მოწყობა მანსარდის ოთახის ჭერში მსუბუქი ასაწყობი კიბით;
- კიბე შეიძლება იყოს როგორც ხვეული, ასევე ორსვლიანი. სასურველია მარტივი ფორმების და ხის მასალის გამოყენება;
- ოღონდ მნიშვნელოვანია, რომ არ დაზიანდეს ჭერისა და კედლის ნალესი ლავგარდანები რაც შემორჩენილია ბინის ამ ოთახში. ასეთივე ნალესი ფორმებია I ოთახშიც;

- ასევე სასურველია კიბისა და ლუკის სახის ჩვენება ფოტომონტაჟით რამდენიმე რაკურსით, ახალი მოცულობის სილუეტის სრულყოფილად აღსაქმელად ოთახის ერთიან ხედში და მნიშვნელოვანია არსებული ფოტოები და ესკიზური, საპროექტო ფოტომონტაჟები წარმოდგენილი იყოს ერთი და იგივე ფოტოებზე, ერთი და იგივე რაკურსებიდან;

- მნიშვნელოვანია ასევე, რომ პროექტირება და მშენებლობა იყოს ხარისხიანი და ზოგადი არქიტექტურული კრიტერიუმები დაცული;

ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი
22. 04. 2026წ.